ინფრომაცია ქსანი 2 ჰესის პროექტთან დაკავშირებით, სოფ. ქსანის მოსახლეობის მოსაზრებებზე რეაგირების შესახებ

N	შენიშვნა	პასუხი
1	2025 წლის 9 ოქტომბერს, ხუთშაბათს, 12:000 საათზე, სოფელ ქსანში გაიმართა მდ. მტკვარზე ქსანი 1 და ქსანი 2 ჰესების მშენებლობა-ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა, რომელსაც ვერ დაესწრო სოფლის ყველა მოსახლე, რადგან იყო სამუშაო დღე და საათი. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი, ჰესების მშენებელი კომპანია, შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-ის დირექტორი გოჩა მუსელიანი, საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“ გეოლოგები და გარემოს დაცვის სააგენტოს წარმომადგენლები. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლები. გზშ დოკუმენტი წარადგინა ჯუღული ახვლედიანმა (მცხეთის სანეპიდ სადგურის ყოფილმა მთავარმა ექიმმა, რომელსაც მიღებული აქვს განათლება თბილისი შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში „სან-ჰიგიენის ფაკულტეტი“). ამ ეტაპზე იყო გეოლოგად წარმოდგენილი, მოამზადა გზშ. ცდილობდა ტყეილ-მართალი დამაჯერებლად გადმოეცა, თუმცა გაუჭირდა.	საჯარო განხილვაზე წარმოდგენილი იყოს შპს „გამა კონსალტინგი“-ს გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინატორი ჯუღული ახვლედიანი და კომპანიის ეკოლოგები და არა გეოლოგები, რადგან გეოლოგიური კვლევა წარმოადგენს პროექტის შემადგენელ ნაწილს და შესრულებულია კონტრაქტორი კომპანიის მიერ. რაც შეეხება შპს „გამა კონსალტინგი“-ს წარმომადგენლის ჯ. ახვლედიანის მიერ მიღებული განათლების დისკრედიტაციის მიზნით გამოყენებას, არაეთიკური და მიუღებელია, კერძოდ: • ჯ. ახვლედიანი საჯარო განხილვაზე წარმოდგენილი იყო როგორც პრზენტატორი და არა გეოლოგი, რაც კარგად მოეხსენება განცხადების ავტორს; • განცხადების ავტორმა ალბათ არ იცის, რომ ქვეყანაში გარემოს დაცვის სამინისტროს შექმნამდე და შესაბამისი კანონმდებლობის დამტკიცებამდე გარემოსდაცვითი საკითხები რეგულირდებოდა სანიტარიული ნორმებით და წესებით სანიტარიული სამსახურის მიერ. გამომდინარე აქედან, სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მიღებული განათლება და ჯანდაცვის სისტემაში მუშაობის 25 წლიანი მუშაობის გამოცდილება მხოლოდ დადებით აისახება გარემოსდაცვით პროექტებზე მუშაობის პროცესში. • რადგან განათლებასთან დაკავშირებული ინფრომაცია მოიძია, განცხადების ავტორს იმაზეც ექნება ინფორმაცია, რომ ჯ. ახვლედიანი 2005 წლიდან დრიდან მუშაობს საკონსულტაციო კომპანიაში და მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე ასეული ინფრასტრუქტურული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის მომზადებაში.

3	მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სოფელს ერთხელ უკვე აქვს დაფიქსირებული საკუთარი ნეგატიური დამოკიდებულება, ისევ აღმოვჩნდით იგივე ფაქტის წინაშე, უნდა მოგვესმინა საიდან იწყებდნენ ჩვენი სოფლის ნგრევას. დოკუმენტში წერია, რომ ჰესის სიახლოვეში მოსახლეობა არ არის, რაც სიცრუეა. მტკვრის ნაპირი სრულად არის ჩასახლებული (200-მდე ოჯახია უშუალოდ მტკვრის ნაპირა უბნებში). აქ ყველას გვინახავს ადიდებული მტკვარი, რომელიც სახლებამდე მიდის, შლის მდინარის ნაპირებს და იმის მტკიცება რომ მდინარე მხოლოდ 1 მეტრს მოიმატებს არადამაჯერებელია.	საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი-ს მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის საჯარო განხილვა ტარდება ორ ეტაპად, სკოპინგის და გზშ-ს ფაზებზე. სკოპინგის პროცედურა წარმოადგენს წინასწარ პროცედურას და ამ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღება არ ხდება, არამედ განისაზღვრება გზშ-ს ანგარიშში გასათვალისწინებელი საკითხები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობისათვისა საბოლოო საპროექტო გადაწყვეტების თაობაზე და მოსალოდნელი ზემოქმედების რისკების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება ხდება გზშ-ს ფაზაზე ჩატარებული საჯარო განხილვის დროს. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება პროექტის განხორციელება არ განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. სინამდვილეს არ შეეფერება განცხადებაში მოყვანილი მოსაზრება, რომ თითქოს გზშ-ს ანგარიშის მიხედვით პროექტის სიახლოვეს სოფ. ქანის მოსახლეობა წარმოდგენილი არ არის. გზშ-ს ანგარიშის 4.1. პარაგრაფში (გვ. 28) მოცემულია ჩანაწერი, რომ ქსანი 2 ჰესის შეტბორვის კონტურის საზღვრიდან უახლოესი საცხ0ოვრებელი სახლი დაცილებულია 15 მ-ით (როგროც ჩანს განცხადების ავტორი ანგარიშს გაცნობილი არ არის). ანალოგიურად შეიძლება ითქვას სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც.
4	მტკვართან ახლოს არის სასაფლაო, სოფლისთვის წმინდა ადგილი, არავის მივცემთ უფლებას წაგვართვას ჩვენი სოფელი.	მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. ქსანი 2 ჰესის შეტბორვის კონტური მნიშნელოვანი მანძილითაა დაცილებული სოფ. ქსანის სასაფლაოს ტერიტორიიდან. არც სასაფლაოს და არც სასაფლაოსთან მისასვლელ გზას პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით არ ემუქრება რაიმე საფრთხე.
5	თქვეს რომ მდინარე ქსანის კალაპოტს შეავსებენ, ასეთ შემთხვევაში გეტყვით, რომ მდინარე ქსნის ნაპირიც ჩასახლებულია, როგორც კასპის რაიონის სოფ. ხიდისყურის, ისე ქსნის მხარე. ჩვენ გვინახავს გზაზე ამოსული მდინარე ქსანი. დაიფარება სოფლის გზა.	მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. გზშ-ს ანგარიშში მოცემული საბოლოო სქემის მიხედვით, ქსანი 2 ჰესის შეტბორვის კონტური არ ვრცელდება მდ. ქსანის შესართავამდე და გამომდინარე აქედან სოფლის მისასვლელი გზის დატბორვა მოსალოდნელი არ არის.

6	როგორც სკოპინგის დოკუმენტშია მოცემული, ქსანი არის 8 ბალიან სეისმურ ზონაში, რაც კიდევ ერთხელ გამორიცხავს აქ ჰესის მშენებლობის დაშვებას, თუმცა ინვესტორმა თქვა, რომ გაასწორეს და 7 ბალიანი ჩაწერეს, პროექტი მოარგეს საკუთარ ინტერესებს, რაც ჩვენსას ეწინააღმდეგება და გვაყენებს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმ სოფლის მოსახლეობას, რომელიც დაუსახლებელ ადგილად აქვთ დაფიქსირებული. შეგახსენებთ, რომ ქსანი მჭიდროდ დასახლებული სოფელია არა დაუსახლებელი ტერიტორია.	მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. გზშ-ს ანგარიშის 5.2.2.3. პარაგრაფში (გვერდი 122) მოცემულია, რომ ქსანი 2 ჰესის საპროექტო არეალი მდებარეობს 8 ვალიან სეისმურ ზონაში.
7	ის ფაქტი, რომ მიწის ნაკვეთებს დაიცავენ ბეტონის კედლებით, არარეალურია. მაღლა წყალი და დაბლა მოსახლეობა ვუწოდებდით „AI-ს უნიჭო ფანტაზიას“.	მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. ნაპირდამცავი დამბები ეწყობა რკინა ბეტონის კონსტრუქციებით, ხოლო საძირკვლის ქვეშ გათვალისწინებულია ფილტრაციის საწინააღმდეგო საშუალებების (საცემენტაციო ფარდა, რკინა-ბეტონის დიაფრაგმები, ბურღვა-ბეტონის კედლები, ლითონის ნარადები) მოწყობა. შესაბამისა, პროექტის მიხედვით, დამბებიდან წყლის ფილტრაციას ადგილი არ ექნება. ფილტრაციის არსებობის შემთხვევაში პროექტის განხორციელება აზრს კარგავს.
8	ბატონი ჯუღულის მიწერ ნახსენები თევზსავალები 13 კაშხალში რომელსაც 70% დადებითი მაჩვენებელი აქვს, თითოეულ კაშხალში გაივლის 70% თევზი და 30% დანაკარგი იქნება. ეს გამოიწვევს თევზის დანაკარგის კატასტროფულ ზარალს, საბოლოოდ კი მდინარე მტკვრიდან თევზის განადგურებას. მტკვარი არის საქართველოს მთავარი არტერია და მასში თევზის გაწყვეტა მდინარეში სიცოცხლისუნარიანობას გაანადგურებს.	მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. პროექტის მიხედვით, ყველა ჰესის კაშხალზე გათვალისწინებულია თევზსავალების და წყალმიმღებებზე თევზამრიდების მოწყობა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს იქთიოფაუნაზე მიყენებულ ზიანს. კაშხლის ზედა ბიეფში შექმნილ წყალსაცავებში ადგილი ექნება თევზის და თევზის საკვები ბაზის გამრავლების ხელსაყრელი პირობების შექმნას. ამის ნათელი მაგალითია ქვეყანაში მოქმედი ჰესების წყალსაცავები, მათ შორის სოფ. ქსნის მოსახლოებისათვის კარგად ნაცნობი ზაჰესის წყალსაცავი, რომელი თითქმის 100 წელია ფუნქციონირებს. პროექტი ასევე ითვალისწინებს ხელოვნური დათევზიანების პროექტის განხორციელებას, რაც ასევე აპრობირებული მეთოდია ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ჰესების მაგალითზე.
9	თქვეს, რომ მტკვრის მარცხენა სანაპირო მყარია და არ გამოირეცხება, რაც კიდევ ერთხელ სიცრუეა. ნაპირი შედგება	მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს.

	დანალექი კლდოვანი ქანებით, რიყის ქვა, თიხა და ყოველწლიურად იცვლის ფორმას. გარკვეულ ადგილებზე არის მეწყერსაშიში ზონები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ გრუნტი არამყარია. თუ იტყვიან, რომ ნიადაგი არ გამოირეცხება და მყარია, ე.ი კვლევა არ ჩატარებულა.	განცხადების ავტორი თვითონ აღნიშნავს, რომ სანაპირო ზოლის სხვადასხვა მონაკვეთები აგებულია კლდოვანი ქანებით, მეოთხეული ნალექებით და თიხებით. დიახ იქ სადაც სუსტი ქანებია გათვალისწინებულია ნაპირდამცავი დამბების მოწყობა, რაც მინიმუმამდე შეამცირებს საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკებს.
10	ბატონ ჯუღულის დავუსვით კითხვა ტუბერკულიოზის ჩხირის გავრცელებასთან დაკავშირებით, თუმცა პასუხი არ მიგვიღია, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს სამედიცინო განათლება, თქვა რომ ინვესტორი გაგვცემდა პასუხს, ინვესტორი კი გაჩუმდა. ჰესისთვის აუცილებელი შეტბორვა, რომელიც საცხოვრებელ სახლებს დაფარავს ასევე შეცვლის კლიმატს, ტენიანი ჰავა და უჟანგბადობა კი სოფლისთვის შესაძლოა მომაკვდინებელი აღმოჩნდეს, რადგან სოფელში არის ტუბერკულიოზის სამკურნალო დაწესებულება. ტუბ.ჩხირის გავრცელების არეალი (სოფლის ერთ-ერთი საბავშვო ბაგა-ბაღის სამზარეულოში 2015 წელს სს. ნათაძის ჰიგიენის და სანიტარიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ ჩატარდა კვლევა. სამზარეულოში იქნა აღმოჩენილი ტუბერკულიოზის ჩხირი). ნესტი ხელს შეუწყობს ჩხირის ინკუბაციას და გავრცელებას. სოფელში თითოეული ადამიანი იქნება ტუბ. ჩხირების მატარებელი და ნუ შეუქმნით ისეთ გარემოს რომელიც ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას შეუქმნის საფრთხეს. სპეციალისტებისგან ვიცი, რომ ტუბ. ჩხირს თუ შეექმნება შესაბამისი პირობები ორგანიზმში სხვადასხვა ადგილას იწყებს განვითარებას (ძვალი. ფილტვი და ა.შ) სიცოცხლე და ჯანმრთელობა ჩვენი კონსტიტუციური უფლებაა და ვერ წაგვართმევთ.	მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. განცხადების ავტორი სამწუხაროდ მწარედ ტყუის, რადგან არსებობს საჯარო განხილვის ჩანაწერი და ადვილად შეიძლება ამის დამტკიცება. ტუბერკულოზი პენიტენციალური დაწესებულების ფუნქციონირების ჰესი პროექტთან დაკავშირება არამართებულია და პრეზენტატორს ამომწურავად შეეძლო ამ საკითხთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება. საჯარო განხილვის პერიოდში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა არ ყოფილა.
11	დავსვით კითხვა, სკოპინგში ნახსენები „ალტერნატიული კალაპოტი“ ტერიტორიულად სად მოიაზრებოდა. ბატონმა გოჩა მუსელიანმა თქვა ნიჩბისისკენო. ნიჩბისისკენ არსებული ტერიტორია არის მტკვრის მარჯვენა სანაპირო. იქ კალაპოტის გაჭრა მოითხოვს მძიმე ტექნიკას, რადგან კალაპოტს სჭირდება სიღრმე.	მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. როგროც გზშ-ს ანგარიშშია მოცემული ქსანი 2 ჰესის განთავსების ალტერნატიული ვარიანტები განხილულია მდინარის კალაპოტის სხვადასხვა ნიშნულებზე და არა რომელიმე, მათ შორის მარჯვენა სანაპიროს მხარეს განთავსება.

	ტერიტორია კი დიდი ზომის მთებისა და კლდოვანი ქანებისგან შედგება. ჰესის მშენებლობა მოითხოვს გარდაუვალ აფეთქებით სამუშაოებს (კანონი კრძალავს ღია კარიერზე, დასახლებულ ტერიტორიაზე აფეთქებებს, რადგან აუცილებლად მოყვება მსხვერპლი. მსგავსი ფაქტი არ უნდა მოხდეს, ომის დროსაც კი ითვალისწინებენ მშვიდობიან მოსახლეობას), რომელიც 2 კმ-მდე ტერიტორიის პარალიზებას გამოიწვევს, როგორც სოფლის და მოსახლეობის, ასევე სოფლის ტერიტორიაზე არსებული სტრატეგიული ობიექტების („ქსანი 500“ და კიდევ 2 ელექტროსადგური, რკინიგზა და სარკინიგზო ხიდი, მინის ქარხანა, სასჯელაღსრულების ორი დაწესებულება და ა.შ). დაზიანდება „ქსანი 500“, რაც ვერ იქნება 110 კილოვატიანი ქვესადგურის მშენებლობის საპირწონე. მტკვრის სიახლოვეს არის სკოლა და საბავშვო ბაღი, სტადიონი. სამშენებლო სამუშაოები საფრთხეს შეუქმნის ბავშვების სიცოცხლეს. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე რადგან კლდეებია და მთები, გამოწვეული ხმა და ძლიერი რყევები მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფელ ქსანს გაანადგურებს. კლდის ქანების მოშლა კი ამოავსებს მტკვრის კალაპოტს, მტკვარი სახლებში შევა, მოჰყვება მსხვერპლი.	საბოლოო სქემის მიხედვით, სათავე ნაგებობის განთავსება დაგეგმილი მდინარის ქვედა დინებაში მდ. მტკვარზე არსებული სარკინიგზო ხიდიდან დაახლოებით 650 მ-ის დაცილებით და შემცირებულია კაშხლის სიმაღლე (შეადგენს 4.6 მ-ს). კაშხლის შემცირებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნადაა შემცირებული ჰესის ენერგოეფექტურობა, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს პროექტის განხორციელებას. პროექტის მიხედვით, ჰესის სამშენებლო სამუშაოები ბურღვა-აფეთქების სამუშაოების წარმოებას არ ითვალისწინებს, რადგან ამის საჭიროება პრაქტიკულად არ არსებობს. რაც შეეხება სამშენებლო სამუშაოების ზეგავლენას სოფლის მოსახლეობაზე, მოსალოდნელი არ არის, რადგან სამუშაოების მოცულობის 80-90% შესრულდება სათავე ნაგებობაზე (კაშხალი, ჰესის შენობა), რომელიც სოფლის საზღვრიდან პირდაპირი მანძილით დაცილებულია არანაკლებ 900 მ-ით და როგორც გზშ-ს ანგარიშშია მოცემული სოფლის ტერიტორიაზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.
12	იმავე განხილვის დროს, ჯუღული ახვლედიანმა, სოფელს წარუდგინა გეგმა, რომ მტკვრის კალაპოტს ჯერ მარჯვნიდან გადაკეტავენ, მერე მარცხნივ და ასე აწარმოებენ სამშენებლო სამუშაოებს. იმ შემთხვევაში მტკვარი სახლებს ძირს გამოაცლის, მთელი წყლის მასა გაზრდილი მოცულობით სანაპიროზე მცხოვრებ მოსახლეობას დაუტბორავს საცხოვრისებს.	მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. განცხადების ავტორს ალბათ არ აქვს წაკითხული გზშ-ს ანგარიში და როგორც საჯარო განხილვის დროს დადგინდა არ ისმენდა პრეზენტატორის მიერ მიწოდებულ ინფორმაცია. აღნიშნული ინფრომაცია შეეხება სათავე ნაგებობის მშენებლობის პროცესში მდინარის წყლის დერივაციას, რომ სამუშაოები შესრულდეს მშრალ კალაპოტში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰესის სათავე ნაგებობის სამშენებლო მოედანი სოფ. ქსანის აღმოსავლეთი საზღვარიდან დაცილებულია არანაკლებ 900 მ-ით, სოფლის ტერიტორიაზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად გამორიცხულია.
13	ინვესტორს დავუსვით კითხვა, რატომ წერია რომ ჰესი დაუსახლებელ ტერიტორიაზე კეთდება და მოსახლეობას საფრთხეს	მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს.

	არ უქმნის, როცა ქსანი მჭიდროდ ჩასახლებული სოფელია (სავარაუდოდ 480-მდე ოჯახი).	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში და თანმხლებ დოკუმენტაციაში არ მოიპოვება არცერთი წინადადება, რომ პროექტი ხორციელდება დაუსახლებელ ტერიტორიაზე. ანგარიშის 4.1. პარაგრაფში მოცემულია სრულიად საწინააღმდეგო ჩანაწერი, რომ ერთერთ წერტილში უახლოესი საცხოვრებელი სახლი შეტბორვის კონტურიდან დაცილებულია 15 მ-ით.
14	ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ წარმოგვიდგინეს რუკა, სადაც კალაპოტი დავიწროებულია, ხოლო სიმძლავრე გაზრდილი 37.3 მგვტ-დან 42.47 მგვტ-მდე. ასეთ შემთხვევაში ტურბინა ემატება, რაც მოითხოვს გაზრდილ ფართს და მეტ წყალს. თქვეს რომ ეს ვარაუდით ჩაწერილი სიმძლავრეა. შეიძლება ვარაუდით დაწერონ საშუალოზე დიდი ჰესის პროექტი?	მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. აზრს მოკლებულია ის ფაქტი, რომ საჯარო განხილვა ინვესტორი კომპანიის წარმომადგენელს ეთქვა პროექტი მომზადებულია ვარაუდის საფუძველზე და არა დეტალური კვლევის საფუძველზე ქსანი 1 და ქსანი 2 ჰესების საერთო დადგმული სიმძლავრე გაზრდილია სათავე ნაგებობების ქვედა დინებაში მდინარის ფსკერის დაღრმავების ხარჯზე.